სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

11 დეკემბერი 2025

N 768/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „სოკარ მიდსთრიმ გაზ ოპერეიშენს - საქართველოს ფილიალი“-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 7^2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტის მე-4 და მე-6 მუხლებისა და შპს „სოკარ მიდსთრიმ გაზ ოპერეიშენს - საქართველოს ფილიალი“-ს 2025 წლის 17 ნოემბრის N11466 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს „სოკარ მიდსთრიმ გაზ ოპერეიშენს - საქართველოს ფილიალი“-ზე (საიდენტიფიკაციო კოდი: 406312930) „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა შემდეგი ნივთიერებების იმპორტისათვის შესაბამისი ოდენობებით:

   ა) 1,1,1,2 ტეტრაფთორეთანი (HFC-134a) - 41 კგ;

   ბ) R410A (HFC-32/HFC-125) - 125 კგ;

   გ) R417A (HFC-125/HFC-143a/HC 600) – 34 კგ;

   დ) R407C (HFC-32/HFC-125/HFC-134a) – 68 კგ;

2. ნებართვა ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

3. შპს „სოკარ მიდსთრიმ გაზ ოპერეიშენს - საქართველოს ფილიალი“-მა უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის

ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;

4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „სოკარ მიდსტრიმ გაზ ოპერეიშენს - საქართველოს ფილიალი“-ს;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/768-21-4-202512111612

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE
კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ბეჭედი